

პრესრელიზი

საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ „ნეოგაზი“-ს ახალი გაზგასამართი სადგური გახსნა

გაზგასამართი სადგურების ქსელის განვითარების ფარგლებში „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ“ (სსეკ) „ნეოგაზი“-ს ბრენდის ქვეშ რიგით მეორე და სრულიად ახალი გაზგასამართი სადგური გახსნა. სადგური მდებარეობს ქალაქ გორში, სტალინის ქუჩაზე, რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე.

გაზგასამართი სადგური აღჭურვილია თანამდეროვე ტექნოლოგიებით, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტ აღრიცხვიანობას. სსეკ იყენებს ბაზარზე ერთერთი ლიდერის, ამერიკული კომპანია ARIEL-ის გაზის კომპრესორებს. გორის სადგურზე მომხმარებლებს 24 საათის რეჟიმში შესაბამისად მომზადებული კადრი მოემსახურება

4.06.2013

„საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ (სსეკ) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. GIEC -, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის შვილობილი კომპანიაა. ამჟამად „ჯი-აი-ჯი“ კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნეს ერთეული მოიცავს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ბუნებრივი აირის რეალიზაციას. დღეისათვის სსეკ ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგორეზერვს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

